საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სტუდენტური თვითმმართველობა

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
STUDENTS' SELF-GOVERNMENT

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის
გამგეობის 2020 წლის 5 დეკემბრის სხდომის დადგენილება

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების 42-ე მუხლისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის დებულების მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობამ დაადგინა:

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდეს 2020 წლის 25 დეკემბერს;
2. არჩევნები ჩატარდეს ელექტრონული ფორმით სტუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო დებულების შესაბამისად. კანდიდატთა რეგისტრაცია საფაკულტეტო საარჩევნო კომისიებში დაიწყოს 2020 წლის 12 დეკემბერს და დასრულდეს 2020 წლის 18 დეკემბერს;
3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
4. ინფორმაციის საჯაროობის მიზნით დადგენილება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე.

სტუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის წევრები:

/რ. გურგენიძე/ /ნ. ჟორჟოლიანი/

/ა. ბაბუნაშვილი/ /თ. ხაბეიშვილი/

/ზ. ბაშელეიშვილი/ /დ. ნადირაშვილი/

/მ. ჯმუხაძე/ /მ. გასანოვი/

/დ. გელაშვილი/ /ა. ჭანუყვაძე/

/ა. ღვინჯილია/ /ლ. ხორავა/